



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ
„სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“

შეფასების თარიღ(ებ)ი
04.04.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი
29/05/2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	17
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	22
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	25
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	30

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204909858
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე გიგინეიშვილი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ციციშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი აბულაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	სტომატოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	“Dentistry”
უმაღლესი განათლების საფეხური	7
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	დიპლომირებული სტომატოლოგი (Doctor of Dental Medicine)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0911 დენტალური მედიცინა 0911.1.1. სტომატოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	=
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 7 წლის ვადით, 2019 წლის 10 დეკემბრის N 234 გადაწყვეტილება, მონიტორინგის განხორციელების პირობით
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	=

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“, ქართულენოვან სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 1998 წლიდან. ბოლო სააკრედიტაციო პროცესი განხორციელდა 2019 წელს და პროგრამას მიენიჭა შვიდწლიანი აკრედიტაცია გეგმიური მონიტორინგით, მიღებული რეკომენდაციების განხორციელების შემოწმების მიზნით. სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედში“ სტომატოლოგიის პროგრამა ხორციელდება 5 წლის განმავლობაში, მოიცავს სწავლების 10 სემესტრს და 300 კრედიტს. სასწავლო პროცესში ჩართულია 46 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი და 50 პერსონალი, აქედან 12 პროფესორი, 14 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 23 მოწვეული ლექტორი. ინტერვიუს დროს ექსპერტებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2023 წლის იანვრის თვიდან პროგრამას ჰყავს ახალი ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, ნინო ჯაფარიძე, ახალი ხელმძღვანელის პერიოდში პროგრამის კუთხით განხორციელებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც წინა სააკრედიტაციო ჯგუფის მიერ რეკომენდაციის სახით იქნა გაცემული.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 4 აპრილს. ექსპერტთა ჯგუფს წინასწარ გადმოგვეცა შესასწავლად მასალა, ხოლო დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია ვიზიტის განხორციელების დღეს. ვიზიტი განხორციელდა კოლეგიალურ გარემოში, ინტერვიუს პროცესმა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებამ ჩაიარა ხარვეზების გარეშე.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შპს სასწავლო უნივერსიტეტის „გეომედი“-ს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულთა სტომატოლოგიური პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება, რაც გულისხმობს დარგის თეორიული საფუძვლების ცოდნასა და კლინიკური უნარ-ჩვევების ფლობას. პროგრამის მიზანია აღზარდოს კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგები, რომლებიც შეძლებენ შემდგომ პროფესიულ განვითარებას. პროგრამის შინაარსი, კრედიტების მოცულობა და სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან და მიზნებთან. პროგრამა ითვალისწინებს შრომითი ბაზრის, დამსაქმებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დარგის განვითარების მოთხოვნებს.

დაწესებულების მიერ 2019 წლის ვიზიტისას გაცემული გარკვეული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა, ხოლო ნაწილი განხორციელების პროცესშია. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიმართულებით ფაკულტეტის მიერ გაფორმდა მემორანდუმები საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, თუმცა სტუდენტთა ჩართულობა ჯერ არ დაფიქსირებულა.

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

გაიზარდა სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტთან ექიმი-სტომატოლოგის/ლექტორის ზედამხედველობის ქვეშ, რაც სილაბუსების მიხედვით კვლავ ნებაყოფლობითია და არა სავალდებულო.

პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შემუშავდა პრაქტიკული მუშაობის დღიურები. ვიზიტის პროცესში, ადგილზე გამოთხოვილ იქნა უკვე შევსებული დოკუმენტაცია, რაც მოგვაწოდა დაწესებულებამ.

პროგრამაზე დაინერგა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, სტომატოლოგიის, როგორც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ოსკის გამოცდები ტარდება საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკაში, რაც სხვა საერთაშორისო უნივერსიტეტების მსგავსად აპრობირებული მეთოდია. დაწესებულებას ასევე გააჩნია ოსკის საგამოცდო დარბაზები, რომელსაც სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტები იყენებენ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კურსის შეფასებისას.

რიგი ტექნიკური შეცდომები სილაბუსებში გასწორებულია, ასევე განახლებულია ლიტერატურა. საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკაში მოწესრიგდა სტერილიზაციისა და ინფექციური ნარჩენების მართვის საკითხი. შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის 294-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

- განხორციელდეს სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტთა ჩართულობა საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებსა თუ საერთაშორისო სტომატოლოგიურ შეჯიბრებებში,
- განხორციელდეს საერთაშორისო სტომატოლოგიურ ასოციაციებთან თანამშრომლობა ინტერნაციონალიზაციის მიზნით.
- კლინიკურ დარგობრივ სილაბუსებში, დაკონკრეტდეს პაციენტზე და ფანტომზე შესასრულებელი მანიპულაციები.
- გაიზარდოს დარგობრივი მიმართულების მქონე დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობა
- უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.
- განახლდეს სტომატოლოგიური საფანტომო ლაბორატორია, აღიჭურვოს თანამედროვე სტომატოლოგიური სიმულაციური დანადგარებითა და მასალებით.
- პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას გაცვლითი პროგრამის დაფინანსებისთვის გამოყოფილი ხარჯი.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტომატოლოგიის პროგრამის მიზანში, შემდეგი ჩანაწერი „-ასევე შეისწავლის კბილის პროტეზებისა და ორთოდონტიული მოწყობილობის შემუშავებას,

გაკეთებასა და შეკეთებას“ დაკორექტირდეს თანამედროვე სტომატოლოგიური ტერმინოლოგიით, ისე როგორც იკითხება ცალკეულ სილაბუსებში.

- სასურველია სტუდენტთა სამუშაო სივრცის უზრუნველსაყოფად სტომატოლოგიურ საუნივერსიტეტო კლინიკაში მოხდეს სივრცის დამატება.
- სასურველია სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებს მიეწოდოთ მეტი ინფორმაცია საერთაშორისო აქტივობის მნიშვნელობაზე და მეტი მოტივაციისათვის ჩაუტარდეთ საკონსულტაციო შეხვედრები აღნიშნული მიმართულებით.
- პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის სამსახურის მიერ, სასურველია განხორციელდეს ფოკუს ჯგუფის გამოკითხვა, ჩაღრმავებული ინტერვიუება სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების მიზნით.
- სასურველია გარე შეფასებას მიეცეს რეგულარული ხასიათი რაც უზრუნველყოფს პროგრამის გაუმჯობესებას.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ექსპერტთა ჯგუფთან გადმოგზავნილ იქნა სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“, დასკვნით პროექტის საფუძველზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. გარკვეულ რეკომენდაციებთან მიმართებაში, დოკუმენტში ნალად ჩანს პროგრესი. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ იქნა დამატებითი სტომატოლოგიური სასწავლო სივრცის ფოტოები აღჭურვილი თანამედროვე სტომატოლოგიური დანადგარებით, ასევე გადმოგზავნილ იქნა სილაბუსები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვერ მოხდა აღნიშნული ცვლილებების გაზიარება, ვინაიდან ცვლილებები განხორციელდა ვიზიტის შემდეგ. ჩვენს მიერ გაცემული რეკომენდაციები რჩება უცვლელი.

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- ხელახალი აკრედიტაციას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“-ს ერთსაფეხურიანი სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულთა სტომატოლოგიური პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება, რაც გულისხმობს დარგის თეორიული საფუძვლების ცოდნასა და კლინიკური უნარ-ჩვევების ფლობას. პროგრამის მიზანია აზღარდოს კონკურენტუნარიანი, შესაბამისი კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგები, რომლებიც შემდგომ შეძლებენ პროფესიულ განვითარებას კანონით შესაბამის მიმართულებებზე. სტომატოლოგიის პროგრამის მიზანი შეესაბამება საუნივერსიტეტო მისიას, კერძოდ პროგრამის მიზანია მისცეს კურსდამთავრებულს დარგობრივ სფეროში სამედიცინო პრაქტიკული საქმიანობისათვის საბაზისო, კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების საფუძვლების ცოდნა.

პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომია გეომედის ვებგვერდზე, ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად არის ჩართული პროგრამის განვითარებაში და გაუმჯობესებაში პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად.

პროგრამის მიზნები უმეტესწილად მოდის შესაბამისობაში უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

მისიასთან შესაბამისობის კუთხით დაწესებულებამ აქტიურად დაიწყო მუშაობა, კერძოდ, „გლობალური საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისა“ და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. პერსონალისა და სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი თურქეთის ონდოკუზ მეის უნივერსიტეტთან. კერძოდ, დაიგეგმა ბილატერალური გაცვლითი პროგრამა, გამოცხადდა კონკურსი სტუდენტების შერჩევის მიზნით, თუმცა სტუდენტების ჩართულობა არ დაფიქსირებულა, შესაბამისად, 2019 წლიდან დღემდე სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართულობა არ დაფიქსირებულა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა აზრი რომ პანდემიის შემდეგ მშობლებმა არ გამოთქვეს სურვილი სტუდენტების გაშვების აღნიშნულ უნივერსიტეტში. ინტერვიუს დროს

ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ სტუდენტებზე შეთავაზებული იყო ფინანსური ხელშეწყობა, შესაბამისად ეს ვერ გახდებოდა მიზეზი მათი ნაკლებ აქტიურობისა.

ინტერნაციონალიზაციის მიზნით დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს რომ შემოდგომაზე იგეგმება ერასმუსის ფარგლებში სტომატოლოგიის პერსონალის გამგზავრება პოლონეთში სამედიცინო ლოჯისტიკის მიმართულებით.

პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ პროგრამას დაემატა ინგლისური ენის კურსები საბოლოო დონედ დადგინდა B2/2. აღნიშნული საგნები ისწავლება მეორე სემესტრიდან მეხუთე სემესტრის ჩათვლით, ორი წლის განმავლობაში. ენის დამატება დაწესებულებამ განმარტა, როგორც სტუდენტთა შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო კონფერენციებსა და ტრენინგებში. პროგრამაში არ არის ჩართული საერთაშორისო მოწვეული ლექტორი, თუმცა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მუშაობენ აღნიშნულ საკითხზე და იგეგმება სამომავლოდ. პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით ასევე მომავალში, შემოდგომაზე იგეგმება ლუბლინში პერსონალის დაფინანსება და გამგზავრება.

2022 წელს დაწესებულებამ შეიმუშავა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, გამოკითხვების შედეგად შემუშავდა შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

1. სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები;
2. აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები;
3. გაცვლითი პროგრამების ინტეგრირება სასწავლო კურიკულუმებში;
4. ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი პროგრამები;
5. სასწავლო პროცესში უცხოელი პედაგოგების ჩართვა;
6. ინგლისური ენების გაძლიერებული სწავლება;
7. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები საზღვარგარეთი უსდ-ებთან;
8. საერთო სამეცნიერო კვლევები და კონფერენციები საზღვარგარეთის უსდ-ებთან;
9. პროგრამების მოდიფიცირება;
10. საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა.

რეკომენდაცია 1.1.- საჭიროა პროგრამის მიზნები უფრო მეტად იყოს თანხვედრაში უნივერსიტეტის მისიასთან, განსაკუთრებით, „გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების“ განაცხადთან და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასთან. გაიწეროს რეალურად მიღწევადი სწავლის შედეგები ან მოხდეს უკვე არსებული სწავლის შედეგების მოდიფიკაცია და რედაქტირება - მეტწილად შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები;
- შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- სტომატოლოგიის სასწავლო პროგრამა და სილაბუსები;

რეკომენდაციები:

- განხორციელდეს სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტთა ჩართულობა საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებსა თუ საერთაშორისო სტომატოლოგიურ შეჯიბრებებში,

- განხორციელდეს საერთაშორისო სტომატოლოგიურ ასოციაციებთან თანამშრომლობა ინტერნაციონალიზაციის მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტომატოლოგიის პროგრამის მიზანში, შემდეგი ჩანაწერი „-ასევე შეისწავლის კბილის პროტეზებისა და ორთოდონტიული მოწყობილობის შემუშავებას, გაკეთებასა და შეკეთებას“ დაკორექტირდეს თანამედროვე სტომატოლოგიური ტერმინოლოგიით, ისე როგორც იკითხება ცალკეულ სილაბუსებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტთა კლინიკური კომპეტენციების გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის ახალმა ხელმძღვანელმა აქტიურად იმუშავა ბოლო ერთი ერთი სემესტრის განმავლობაში და ეტაპობრივად პროცესი გაუმჯობესდა. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რაც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგების აღზრდა, კურსდამთავრებულებისთვის თეორიული ცოდნისა და კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა.

სტუდენტებს გარდა საფანოტმო სწავლებისა, სუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკში აქვთ შესაძლებლობა მიიღონ პაციენტები და შეასრულონ მარტივი მანიპულაციები ექიმი სტომატოლოგის/ლექტორის ზედამხედველობის ქვეშ. ინტერვიუს პროცესში, როგორც ლექტორებმა ასევე სტუდენტებმა დაგვიდასტურეს, რომ პაციენტთან მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. პაციენტთა

მომიება ძირითადად ხორციელდება სტუდენტების მიერ, თუმცა, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში კლინიკამ გახორციელა აქტივობა სტუდენტთა მეტი ხელშეწყობისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- სასწავლო პროგრამა და სილაბუსები;
- სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტთა სამუშაო სივრცის უზრუნველსაყოფად სტომატოლოგიურ საუნივერსიტეტო კლინიკაში მოხდეს სივრცის დამატება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რაც აქტიურად ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. შემუშავებულია პროგრამის როგორც განმავითარებელი, ასევე შემაჯამებელი შეფასება, რაც დადასტურდა, როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტების ინტერვიუებისას. პროგრამის მიმდინარეობისას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება შემდეგი კითხვარებით: სტუდენტის მიერ ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასება;

აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამისა და სერვისების შეფასება; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შუალედურ შედეგების შეფასება; სტუდენტთა პრაქტიკული უნარების შესრულება; სტუდენტთა მიერ ადმინისტრაციული სერვისების შეფასება; სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის შეფასება;

სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების შეფასების ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი საჭიროებები, დაიგეგმოს და განხორციელდეს კურიკულუმ გარე აქტივობები, ასევე გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო კვლევით აქტივობებში.

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს მიერ ასევე ხორციელდება ერთსაფეხურიანი პროგრამების ხარისხის შემაჯამებელი შეფასება სასწავლო პროგრამის დარულებისას. ხარისხის სამსახური ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამის და სერვისების შეფასების, კურსდამთავრებულთა პროგრამის და შემენილი კომპეტენციების პრაქტიკული გამოყენების, დამსაქმებლის მიერ პროგრამის შეფასების და კურსდამთავრებულთა პოსტდიპლომური განათლების შეფასების ანალიზს; ასევე ხარისხის სამსახური ადგენს დარგის მიხედვით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სტატისტიკასა და სტუდენტთა პორტფოლიოს შეფასებას. სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული შეფასების მექანიზმები ცნობილია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტთა, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ინტერვიუს შედეგები;
- სტომატოლოგიის პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

➤ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
-

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 10 სემესტრის განმავლობაში და მოიცავს 300 კრედიტს. უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო დებულების თანახმად, ერთი ECTS კრედიტი უტოლდება 25 ასტრონომიულ საათს.

კრედიტების რაოდენობა პროგრამის ძირითადი და ასარჩევი საგნების მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად: 300 კრედიტიდან 286 არის სავალდებულო, ხოლო 14 კრედიტი არის თავისუფალი. ძირითად სასწავლო კურსები დაყოფილია შემდეგნაირად:

- საბაზისო სავალდებულო კურსები- 64 ECTS;
- სტომატოლოგიის საფანტომო სავალდებულო კურსები - 44 ECTS;
- სტომატოლოგიის კლინიკური სავალდებულო კურსები- 106 ECTS;
- კლინიკური სავალდებულო კურსები -35 ECTS;
- ზოგადი სავალდებულო კურსები-27 ECTS;
- სამეცნიერო უნარ-ჩვევების სავალდებულო კურსები- 10 ECTS;

ფაკულტეტის მიერ დაკორექტირდა გარკვეული უზუსტობები სილაბუსებში, ასევე დაკორექტირდა სასწავლო თემატიკაც. განახლდა სასწავლო ლიტერატურა. საგანში კლინიკური პაროდონტოლოგია განახლდა ლიტერატურა და დაემატა 2022 წლის სახელმძღვანელო „კლინიკური პაროდონტოლოგია“, ასევე დაემატა 2022 წლის სახელმძღვანელო „პაროდონტის დაავადებების არაქირურგიული და ქირურგიული მკურნალობა“, აღნიშული სახელმძღვანელოების მოძიება შესაძლებელია ბიბლიოთეკაში.

სილაბუსებში, კერძოდ მეოთხე სემესტრიდან, თერაპიული სტომატოლოგიის საფანტომო კურსიდან შეტანილია საიზოლაციო სისტემების სწავლება, რაც რეკომენდირებულ იქნა გასული ვიზიტისას. სილაბუსებში თემატიკა ლოგიკური და თანმიმდევრულია, კერძოდ თერაპიული სტომატოლოგიის საფანტომო კურსზე ისწავლება სტომატოლოგიის განვითარების ისტორია და დარგის კავშირი მედიცინის სხვა მიმართულებებთან, პირის ღრუს ანატომია, ემბრიოლოგია და ფიზიოლოგია, სისხლმომარაგება ინერვაცია, სტომატოლოგიური კაბინეტის ორგანიზაცია, ინსტრუმენტები, გამოკვლევის ძირითადი მეთოდები, პაციენტთა ანკეტირება. ხოლო შემდგომ კურსებზე, კერძოდ თერაპიული სტომატოლოგიის მეორე ნაწილში ისწავლება კარიესოლოგია, არაკარიესული დაავადებები, ზოგადი დაავადებების პირის ღრუში მანიფესტაცია, დაავადებების დიფერენციულური დიაგნოზი, გაუტკივარება, რაც ხორციელდება საფანტომო გარემოში, ხოლო თერაპიული სტომატოლოგიის საფანტომო კურსზე ისწავლება პულპიტები და პულპიტების მკურნალობის მეთოდები და ა.შ.

პროგრამას, მეათე სემესტრში დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსი სახელწოდებით „კლინიკური კრიტიკული აზროვნება (პროფესიონალიზმი), კურაციული საგნები. აღნიშნულ დისციპლინაში გამოცდა არის ორ კომპონენტისანი, მოიცავს ტესტურს და ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდას. საგნის წინაპირობებს წარმოადგენს ყველა უკვე გავლილი მიმართულება, კერძოდ ქირურგიული, თერაპიული, ბავშვთა ასაკის ქირურგიული სტომატოლოგია, ორთოდონტია.

აღნიშნული საგანი წარმოადგენს სტომატოლოგიური მიმართულებების შემაჯამებელ, ინტეგრირებულ დისციპლინას, კურსის მიზანია სტუდენტის მიერ სტომატოლოგიური პრაქტიკული საქმიანობისათვის შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება.

რეკომენდაცია 1.4- გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები, სასწავლო თემატიკა იყოს ლოგიკური და თანმიმდევრული. მოხდეს იმ სასწავლო კურსების ინტეგრირება, რომელშიც გარდა კონკრეტული კურსისა, სხვა მომიჯნავე კურსის თემატური პროცედურები და მანიპულაციები შეისწავლება - შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები;
- სტომატოლოგიის ფაკულტეტის ანგარიში;
- სტომატოლოგიის სასწავლო პროგრამა და სილაბუსები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედში“, სტომატოლოგიის ერთასფეროიანი საგანმანათლებლო პროგრამა მიმდინარეობს სემესტრულად. საგნებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკური და

თანმიმდევრულია. სილაბუსებში გაწერილია საათობრივი დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი სამუშაოებისათვის.

გარკვეულ სილაბუსებში განახლდა ლიტერატურა, სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის. ძირითადად სასწავლო ლიტერატურა გაციფრულებულია და ხელმისაწვდომია ელექტრონულად.

სილაბუსებში არ არის დეტალურად გაწერილი ფანტომზე და პაციენტზე ჩასატარებელი კონკრეტული მანიპულაციები. მაგალითად, მერვე სემესტრში, საგანში თერაპიული სტომატოლოგია 3 (კლინიკური უნარი 2), რომელიც მოიცავს სწავლებას როგორც ლაბორატორიაში, ასევე საუნივერსიტეტო კლინიკაში ისწავლება საიზოლაცია სისტემების გამოყენება, ფისურების ჩაბეჭდვა, კარიესული ღრუს პრეპარირება, პოლირება, რესტავრაცია და ა.შ. სტუდენტებიც და ლექტორებიც ინტერვიუს დროს აღნიშნავენ რომ სტუდენტები პაციენტებს იღებენ ექიმი სტომატოლოგების/ლექტორების ზედამხედველობის ქვეშ (კანონის მიხედვით), თუმცა სილაბუსებში არ იკითხება ამ ჩატარებული მანიპულაციებიდან რომელი სრულდება პაციენტზე და რომელი ფანტომზე. წარმოდგენილი პრაქტიკული უნარების დღიურების მიხედვით, სტუდენტები უწევს ასისტირებას ექიმებს და ასევე მუშაობენ ექტრაგირებულ კბილებზე, რაც ასევე მიღებული პრაქტიკაა.

სილაბუსში, თერაპიული სტომატოლოგია 5 (კლინიკური უნარები 3), რომელიც ისწავლება მათე სემესტრში, პრაქტიკულ უნარ ჩვევების დემონსტრირებაში მითითებულია, პირის ღრუს ჰიგიენური წმენდა, ფისურების ჩაბეჭდვა, საზიოლაცია სარჩულების გამოყენება, კარიესის მკურნალობა და ა.შ. სილაბუსში არ არის მითითებული, რომელ მანიპულაცია ტარდება ფანტომზე, რომელი ექტრაგირებულ კბილებზე და რომელი მანიპულაცია ტარდება პაციენტზე. სწავლების მეთოდებში მითითებულია რომ სტუდენტები ექიმებს უწევს ასისტირებას, ახორციელებენ პაციენტის კურირებას, ახორციელებენ ანამნეზის შეკრებას, ავსებენ ავადმყოფის ისტორიას, აფასებენ პაროდონტის ქსოვილების მდგომარეობას, ატარებენ დიფდიაგნოზს.

საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის მთავარმა ექიმმა აღნიშნა, რომ სამი სტომატოლოგიური დანადგარი განკუთვნილია სტუდენტების კურაციული სწავლებისათვის. ამ ეტაპისთვის, ვფიქრობთ, მისაღებია რაოდენობა სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა სამომავლოდ სტუდენტთა სამუშაო სივრცე გასაზრდელი იქნება.

სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაფასებლად ადმინისტრაციამ წარმოგვიდგინა შეფასების დღიურები, სადაც დეტალურად არის გაწერილი შესრულებული მანიპულაციები, თუმცა, ძირითადად ექტრაგირებულ კბილებზე და ფანტომებზე, პაციენტებთან მიმართებაში ძირითადად განხორციელებულია ასისტირება.

რეკომენდაცია - გაიზარდოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ და პაციენტების მიღება გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, როგორც მიღებულია მსოფლიოს ძალიან ბევრ უმაღლეს სასწავლებელში და საქართველოს კანონმდებლობითაც დასაშვებია (კანონი საქმიანობის შესახებ, მუხლი 14.2ა); სტუდენტებისთვის პაციენტის მიღება იყოს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი, რაც გაწერილი იქნება კონკრეტული მანიპულაციების ჩამონათვალით, რომელთა შესრულების შემდეგ სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში მინიჭებული იქნება კონკრეტული ქულა. ჩატარებული მანიპულაციები აისახოს პრაქტიკის ამსახველ დოკუმენტაციებში (მაგ. სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურებში). - მეტწილად შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტომატოლოგიის სასწავლო პროგრამა და სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;
- პრაქტიკული უნარ-ჩვევები დღიურები.

რეკომენდაციები:

- კლინიკურ დარგობრივ სილაბუსებში, დაკონკრეტდეს პაციენტზე და ფანტომზე შესასრულებელი მანიპულაციები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი

ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს სასწავლო უნივერსიტეტის „გეომედის“ ერთსაფეხურიან სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. სტომატოლოგიის პროგრამით სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც გაივლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს უფლებას ისწავლოს უნივერსიტეტში სტომატოლოგიის ფაკულტეტზე, აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირებს ქართულ ენაში ტესტირების წარმატებით გავლის ან ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

უცხო ენის ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

აღნიშნულ პროგრამაზე სწავლობს რამოდენიმე უცხო ქვეყნის მოქალაქე, სრულფასოვანი ქართული ენის ცოდნით, რაც დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების

განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს მატერიალურ ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას ფანტომებზე და პაციენტთან მუშაობის პროცესში. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა შევსებული „სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების დღიური“ .

სტუდენტების მიერ პაციენტების მიღება ხორციელდება უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სტომატოლოგიურ კლინიკაში, მათ ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პერსონალი, რომელიც აფასებს სტუდენტების საქმიანობას.

ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ კონფერენციებში, სადაც წარმოდგენილი მასალის გამოქვეყნება ხდება კრებულის სახით, თუმცა, სტუდენტები მონაწილეობას არ ღებულობენ უნივერსიტეტის გარეთ ჩატარებულ კონფერენციებსა და პროექტებში.

სტუდენტების აქტივობა კონფერენციებში, პროექტებსა და გაცვლით პროგრამაში ხელს შუწყობდა მათი ცოდნის გაღრმავებას.

რეკომენდაცია : მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტუდენტებს დაწესებულების შენობაში არსებულ კლინიკასთან და სხვა პრაქტიკის ობიექტებთან თავისუფალი წვდომა აქვთ, უმჯობესია ამ პროცესზე ფორმალიზებული დაკვირვება და პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაციის (მაგ., სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურების) წარმოება- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პრაქტიკული აქტივობის დღიური
- მატერიალური ტექნიკური ბაზის დათვალიერება
- ინტერვიუს შედეგი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში დეტალურად არის წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს. ძირითადად, გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: მასალის ვერბალური პრეზენტაცია, კურაციული სწავლება კლინიკურ გარემოში, მასალის დემონსტრირება, ძირითადად ფანტომებზე და სასწავლო მასალებზე, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება, შემთხვევის ანალიზი, ანალიზი პრაქტიკული უნარების დემონსტრირებით, პირდაპირი ინსტრუქცია, გონებრივი იერიში, ქეისის განხილვა, რაპორტი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, IT ტექნოლოგიების გამოყენებით დამატებითი მასალის მოძიება და დამუშავება და ა.შ.

დარგობრივ საგნებში, როგორცაა თერაპიული სტომატოლოგია, ბავშვთა სტომატოლოგია, ორთოდონტია, ქირურგიული სტომატოლოგია და ა.შ. სასწავლო პროგრამის ბოლო კურსზე აქტიურად გამოიყენება ისეთი სწავლების მეთოდები როგორცაა ვერბალურ პრეზენტაცია, კურაციული სწავლება კლინიკურ გარემოში, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება პროფესორ/მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ, პირდაპირი ინსტრუქცია, ქეისი და ა.შ.

აღნიშნული სწავლება და სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სილაბუსით გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის სილაბუსები;
- ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტომატოლოგიის პროგრამის სილაბუსებში გაწერილი ის შეფასების მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც თითოეული კურსის, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობას. ყოველდღიური თუ ყოველკვირეული შეფასება საგნებში ხორციელდება ზეპირი გამოკითხვა, წერიითი ქვიზი, საშინაო დავალება, პრაქტიკული დავალება, ფანტომზე დემონსტრირება და ა.შ.

ფაკულტეტის მიერ გატარდა რიგი აქტივობები პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, კერძოდ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები ისეთ შეფასების და სწავლების მეთოდებში, როგორცაა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა OSCE, PBL, CBL, OSPE, Mini Cex. აღნიშნულ პროცესში ჩართული იყო სტომატოლოგიის პროგრამის განმახორციელებელი 10 ლექტორი.

დასკვნითი გამოცდა არის 40 ქულიანი. დარგობრივ კლინიკურ საგნებში, გარდა წერიითი კომპონენტისა, ასევე ტარდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა. ოსკის გამოცდები ტარდება შემდეგ საგნებში: კლინიკური უნარები 1, თერაპიული სტომატოლოგიის საფანტომო კურსი, ქირურგიული სტომატოლოგიის საფანტომო კურსი, პირის ღრუს ქირურგია, პრეკლინიკური პაროდონტოლოგია, კლინიკური უნარები 2, კერძო ორთოპედიული სტომატოლოგია, ორთოდონტია, კლინიკური კრიტიკული აზროვნება, ლოქროვანი გარსის დაავადებები და კლინიკურ უნარები 5.

ინტერვიუს პროცესში როგორც სტუდენტებმა, ასევე პროგრამის ხელმძღვანელმაც დაადასტურეს პროცესში სიმულაციური პაციენტის ჩართულობა, რაც საუკეთესო პრაქტიკაა შეფასების პროცესში. ფაკულტეტის მიერ მოწოდებულ იქნა სადგურების მიხედვით დეტალურად გაწერილი პრაქტიკული დავალებები, შესაბამისი შეფასების რუბრიკებით. თითოეულ დავალებას აქვს გაწერილი კონკრეტული ქულა.

ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა ტარდება საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკაში, სადგურებად გამოყენებულია სტომატოლოგიური დანადგარები, რაც ბევრ საერთაშორისო უნივერსიტეტში აპრობირებული მეთოდია. სადგურებზე სტუდენტთა დაყოვნების პერიოდი გაზრდილია, ერთ სადგურზე სტუდენტისთვის გამოყოფილია 5 წუთი.

დასკვნითი გამოცდის პრაქტიკული გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვრულია 11 ქულით, ხოლო სრულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვრულია 21 ქულით.

რეკომენდაცია 2.4 სპეციალიზაციის საგნებში, განსაკუთრებით კლინიკურ პრაქტიკულ კურსებზე, ფინალური გამოცდის წერით კომპონენტს დაემატოს პრაქტიკული უნარების შეფასებას — შესრულებულია

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროგრამა და სილაბუსები;
- OSCE ჩეკლისტები;
- ინტერვიუს შედეგები;
- მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან

საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუებისას, სტუდენტები ადასტურებენ სრულფასოვანი საკონსულტაციო საათების მიღებას. ტექნიკურ საკითხებზე შეთანხმება ხდება ლექტორთან, განრიგი ხელმისაწვდომია ყველასთვის. სტუდენტებმა აღნიშნეს, საკონსულტაციო შეხვედრების მოთხოვნის სიმარტივე და ეფექტურობა.

სტუდენტები ახალი საგნის დაწყებისას სრულფასოვნად იღებენ ინფორმაციას სასწავლო კურსის შესახებ, გარდა ამისა, შესაბამისია უკუკავშირი სტუდენტებსა და პერსონალს შორის.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტებისა და ინტერვიუების შედეგების ანალიზით, შესაძლოა ითქვას რომ, პროგრამას ისევ აქვს ინტერნაციონალიზაციის პრობლემა, სტუდენტთა ჩართულობის კუთხით.

მიუხედავად იმისა რომ, 2019 წლის შემდეგ გაფორმდა 30-მდე მემორანდუმი, სტუდენტური აქტივობა საერთაშორისო დონეზე მინიმალურია. დაწესებულებას აქვს ურთიერშეთანხმების მემორანდუმი სტომატოლოგიის მიმართულებით შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- ბულგარეთის სამედიცინო უნივერსიტეტი 2021წ.
- ინდოეთის უნივერსიტეტი 2021წ.
- ალტინბას უნივერსიტეტი 2022წ.
- ანკარის მედიპოლის უნივერსიტეტი 2022წ.
- ხარკოვის სამედიცინო უნივერსიტეტი 2022წ.
- ონდოკუს უნივერსიტეტი 2021წ.

როგორც ინტერვიუებისას გაირკვა, 2021 წელს იქნა შერჩეული 2 სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტი გაცვლითი პროგრამისთვის, თუმცა დაწესებულების განმარტებით კოვიდის საფრთხის გამო სტუდენტებმა განაცხადეს უარი წასვლაზე. სასურველია, გაიზარდოს უნივერსიტეტის ფოკუსი საერთაშორისო სტომატოლოგიურ ღონისძიებებზე, მიეწოდოს სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მსგავსი აქტივობების აუცილებლობა/საჭიროებაზე, რათა გაიზარდოს მათი ჩართულობის მაჩვენებელი. უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს ადგილობრივ ღონისძიებას - „თანამედროვე გამოწვევები მედიცინაში“, რომელშიც აქტიურად იღებენ მონაწილეობას სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტები. უნივერსიტეტი იყენებს ვებ-გვერდს, რომელზეც რეგულარულად იტვირთება განახლებული ინფორმაცია სტუდენტებისთვის. ასევე სტუდენტს აქვს უფლება გაასაჩივროს დასკვნითი გამოცდის ქულა. პროცესი რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტით და სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგების ანალიზი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ადგილობრივი სტუდენტური აქტივობების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებს მიეწოდოთ მეტი ინფორმაცია საერთაშორისო აქტივობის მნიშვნელობაზე და მეტი მოტივაციისათვის ჩაუტარდეთ საკონსულტაციო შეხვედრები აღნიშნული მიმართულებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამოუმუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელია: ასისტენტ პროფესორი, პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და მოწვეული ლექტორი, რომელთა კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალიდან პროფესორი არის 12, ასოცირებული პროფესორი 14, ხოლო ასისტენტ პროფესორი 1, მათ შორის დარგობრივი მიმართულებით აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 5. აკადემიური პერსონალის რაოდენობა მოიცავს 27 და მათგან 26 პერსონალი არის აფილირებული. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აფილირებული პერსონალის სრულფასოვან ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ დატვირთვაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახორციელებს პროგრამაში ჩართული პერსონალის გამოკითხვას სპეციალური კითხვარების საშუალებით და ანალიზებს მას. ვიზიტისას დადასტურდა, რომ პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულ სტუდენტთა საკონსულტაციო საათებს სტუდენტები იყენებენ საჭიროებისამებრ.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე საგანმანათლებლო პროგრამაზე ფიქსირდება 46 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობა ამ ეტაპზე საკმარისია. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მომდევნო სემესტრიდან გაიზრდება სტუდენტების რაოდენობა, გაჩნდება საჭიროება იმისა, რომ გაიზარდოს დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის რიცხვი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	50	11	5	26
- პროფესორი	12	1	1	12
- ასოცირებული პროფესორი	14	4	4	13
- ასისტენტ-პროფესორი	1			1
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	23	6		
სამეცნიერო პერსონალი				

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი საგნების მიხედვით
- პერსონალის პირადი საქმე
- ინტერვიუს შედეგი

რეკომენდაციები:

გაიზარდოს დარგობრივი მიმართულების მქონე დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობა რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიერ ფასდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სასწავლო პროცესის მიმდინარეობა სტუდენტების მიერ სპეციალური კითხვარების დახმარებით. უნივერსიტეტის მხრიდან 2020-2022 წლებში პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები: „სწავლების თანამედროვე მეთოდები მედიცინაში“, ტრენინგი OSCE-ში, Elsevier-ის სამეცნიერო, Science Direct-სა და Scopus-ში ინფორმაციის ძიების ახალი ფუნქციებისა და ეფექტური საძიებო მექანიზმების გამოყენება, გაცნობა და სხვა. მოწვეულ და აკადემიურ პერსონალი იღებს მონაწილეობა ისეთ აქტივობებში რაც გულისხმობს სტუდენტების ზედამხედველობას უნივერსიტეტის შიდა კონფერენციებში, რომელიც ინტერვიუს დროს პერსონალმა დაადასტურა.

ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ შემოდგომაზე იგეგმება პერსონალის დაფინანსება და გამგზავრება ლუბლინში. ბიბლიოთეკაში ვიზიტისას იქნა წარმოდგენილი მათი პედაგოგის ავტორობით გამოცემული წიგნი და პერსონალთან ინტერვიუს დროს მხოლოდ ერთმა პედაგოგმა აღნიშნა, რომ სტატიის დაბეჭვდას აპირებდა უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფორმაცია აკადემიური და მოწვეული პერსონალის განმავითარებელი ღონისძიებების შესახებ
- პროგრამასთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგები
- ინტერვიუს შედეგი

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგების მისაღწევად აღჭურვილია შემდეგი მატერიალური რესურსებით: ბიბლიოთეკა, სტომატოლოგიური საფანტომო ლაბორატორია, საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა, ლაბორატორიები, ანატომიის ოთახი, კომპიუტერული საგამოცდო ოთახები. უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის საბიბლიოთეკო, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსების განახლებაზე. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსში გათვალისწინებული განახლებული ლიტერატურა. ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა სახელმძღვანელოს ციფრული ვერსიები, გარდა ბოლოს შეძენილი ლიტერატურისა. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ციფრული რესურსები და საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს სტომატოლოგიური კლინიკა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით. სტომატოლოგიურ კლინიკაში გამოყოფილ სასტერილიზაციო სივრცეში „დეკონტამინაციის“, „სუფთა“ და „სტერილური“ ზონა ერთმანეთისგან გამოყოფილია. „სუფთა“ და „ჭუჭყიანი“ ნაკადების ერთი მიმართულებით მოძრაობის პრინციპი არის დაცული. სტომატოლოგიური ინსტრუმენტების სტერილიზაცია ხდება ყველა წესის დაცვით. კლინიკაში ნარჩენების მართვის და სათავსო ოთახებისთვის არის გამოყოფილი ორი ერთმანეთისგან იზოლირებული სივრცე.

თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საფანტომო სივრცეში განთავსებული სტომატოლოგიური სავარძლები მოითხოვს განახლებას, რათა სტუდენტებმა შეუფერხებლად შეძლონ პრაქტიკული აქტივობების განხორციელება ფანტომებზე.

რეკომენდაცია: მოსაწესრიგებელია ინფექციური ნარჩენების მართვის საკითხი. ნარჩენების დროებითი სათავსი გაკეთდეს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის 294-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ მოთხოვნების შესაბამისად. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მოსაწესრიგებელია სტერილიზაციის საკითხები- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მატერიალური ტექნიკური ბაზის დათვალიერება
- ინტერვიუს შედეგი

რეკომენდაციები:

- განახლდეს სტომატოლოგიური საფანტომო ლაბორატორია, აღიჭურვოს თანამედროვე სტომატოლოგიური სიმულაციური დანადგარებითა და მასალებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. უნივერსიტეტის მიერ გადმოგზავნილ ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული გაცვლითი პროგრამის დაფინანსებისთვის გამოყოფილი ხარჯი, თუმცა ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს მათ განაცხადეს სრული მზადყოფნა და მათ შორის ფინანსური მხარდაჭერა გაცვლითი პროგრამის სტდენტებისთვის. ბიუჯეტში გათვალისწინებულია სხვადასხვა რესურსები როგორცაა: მეცნიერების

განვითარება, კაპიტალიზებული ხარჯი, სტუდენტური აქტივობა, სარეკლამო ხასიათის აქტივობა და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგი

რეკომენდაციები:

- პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას გაცვლითი პროგრამის დაფინანსებისთვის გამოყოფილი ხარჯი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასების შედეგების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოავლინოს ნაკლოვანებები და დაიგეგმოს განსახორციელებელი აქტივობები და ცვლილებები პროგრამის გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტ „გეომედის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს პროგრამაში ჩართულ პერსონალის და სტუდენტების გამოკითხვას. სტუდენტებთან გამოკითხვა წარმოებს სემესტრში ორჯერ და როგორც ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა. სტუდენტების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები. კერძოდ: საგნის ალერგოლოგიის და ინგლისური ენის პროგრამაში დამატება, ხოლო პროგრამაში ჩართულ პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე პრაქტიკული საგნებში არსებული ჯგუფები დაიყო 11-12 სტუდენტთან ჯგუფებად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამასთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგები
- ინტერვიუს შედეგი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის სამსახურის მიერ, სასურველია განხორციელდეს ფოკუს ჯგუფის გამოკითხვა, ჩადრმავებული ინტერვიუებზე სტუდენტთა მოტივაციის ამალღების მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

5.1	შიდა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ხარისხის შეფასება					

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გარე შეფასება ხორციელდება მხოლოდ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ აკრედიტაციის გზით. პროგრამის გაუმჯობესებისთვის გათვალისწინებული იქნა წინა რეკომენდაციებიდან უმრავლესობა, თუმცა საჭიროა გარე შეფასებას მიეცეს რეგულარული ხასიათი რაც უზრუნველყოფს პროგრამის გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგი

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გარე შეფასებას მიეცეს რეგულარული ხასიათი რაც უზრუნველყოფს პროგრამის გაუმჯობესებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	
5.2	გარე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ხარისხის შეფასება					

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტ გეომედში, პროგრამის მონიტორინგი/პერიოდული შეფასება ხორციელდება ხარისხის სამსახურის უშუალო ჩართულობით.

დოკუმენტებისა და ინტერვიუების შედეგების ანალიზის მიხედვით ირკვევა, რომ პროგრამის შეფასება მრავალმხრივია, ჩართულია სამეცნიერო, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. თუმცა დამსაქმებლებთან ინტერვიუს მსვლელობისას პროგრამის განვითარებაში მათი ჩართულობა არ დასტურდება.

მონიტორინგის მონაცემების გაანალიზებისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით პროგრამის განმახორციელებელი პირები მუდმივად ზრუნავენ საგანმანათლებლო პროგრამის განახლებასა და მოდიფიცირებაზე.

ვაკულტეტი ახორციელებს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას, როგორც განმავითარებელს ასევე შემაჯამებელს. დაწესებულების ხარისხის სამსახურის მიერ ხორციელდება სტუდენტების მიერ ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასების კითხვარის ანალიზი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამისა და სერვისების შეფასების კითხვარის ანალიზი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შუალედური შედეგების შეფასება, კურსდამთავრებულთა სტატისტიკის ანალიზი და ა.შ.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების დამუშავებისა და ანალიზის შედეგად, ცვლილება შევიდა სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში: დაემატა არჩევითი საგანი ალერგოლოგია, პროგრამაში სავალდებულო კურსის სახით შეტანილ იქნა ინგლისური ენა, სტუდენტების ინფორმაციით პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი მეტად გაძლიერდა, ასევე რიგ საგნებში განახლდა სასწავლო ლიტერატურა როგორც ქალაქდამატარებელი, ასევე ელექტრონული ვერსიით.

უნივერსიტეტი იყენებს შეფასებების მონაცემების ანალიზის მეთოდოლოგიას. პროგრამა შედეგობრივია, როდესაც იგი პასუხობს ზემოთხსენებული დოკუმენტის დადებით შეფასებას (მალიან კარგი, კარგი), ხოლო საჭიროებს მოდიფიკაციას როდესაც შეფასება დამაკმაყოფილებელია ან უარყოფითი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები
- თვიშეფასების ანგარიში
- „სტომატოლოგია, 2021-2022 გაზაფხულის სემესტრი“ template
- „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის დასრულების შემდეგ“
- „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობის პროცესში“

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა. საფეხური 7.

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტანდარტები				
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ელენე გიგინეიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ნანა ციციშვილი



გიორგი აბულაძე

